2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის მედიამონიტორინგის შედეგები

29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018

www.mediamonitor.ge

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Empowered lives.
Resilient nations.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

This report has been produced with assistance of the European Union (EU) and United Nations Development Programme (UNDP). Its contents are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of the European Union (EU) and UNDP.

შესავალი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

წინასაარჩევნო პერიოდში მედიამონიტორინგს ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - სატელევიზიო ახალი ამბებისა და სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგი
- ინტერნიუსი-საქართველო - რადიოების მონიტორინგი
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI) - ბეჭდური და ონლაინ მედიის მონიტორინგი

კვლევის ფარგლებში ორგანიზაციები აკვირდებიან საარჩევნო სუბიექტების გაშუქებას 37 სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებაში.

წინამდებარე ანგარიში აერთიანებს კვლევის შედეგეგებს არჩევნების პირველი ტურის დასრულებიდან მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე პერიოდში (29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი). ანგარიშში ასახულია სხვადასხვა მედიასაშუალებებზე ამ პერიოდში საარჩევნო საკითხების გაშქუების კუთხით გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები.

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორები აკვირდებიან 8 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს და საინფორმაციო გამოშვების იმ ნაწილს, სადაც რესპონდენტებთან ათ წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის ინტერვიუს სთავაზობენ მაყურებელს. მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, იბერია[1], მაესტრო, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია. მონიტორინგი მიმდინარე წლის 1 აგვისტოს დაიწყო. ტოქშოუების ნაწილი ეთერში სექტემბრის დასაწყისში, ნაწილი კი უფრო მოგვიანებით გავიდა. წინამდებარე ანგარიში ასახავს 29 ოქტომბერი - 27 ნოემბრის პერიოდში გასული გადაცემების ანალიზს.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევისას ხომ არ იკვეთება მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა წამყვანი მომზადებული, აძლევს თუ არა ის სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად. საერთო ჯამში, იღებს თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

მონიტორინგის შედეგები

პირველი ტურის დასრულების შემდეგ ტელემედიამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა –უფრო ცალსახად გამოჩნდა მაუწყებელთა სარედაქციო პოლიტიკა და მათი მიკერძოება საპრეზიდენტო კანდიდატების სასარგებლოდ. გაშუქება უმეტესად დაფუძნებული იყო იმაზე, თუ რატომ არ უნდა აირჩიოს მოსახლეობამ ამა თუ იმ არხისთვის არასასურველი კანდიდატი. „იმედმა“ საგანგებო რეჟიმში მუშაობის დაწყების შესახებ განაცხადა. „რუსთავი 2-ზე“ გაიზარდა ტოქშოუების ეთერში გასვლის სიხშირე. სადისკუსიო გადაცემების ფორმატი შეცვალა საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც, რომელმაც გააუქმა

[1] 2018 წლის 16 ოქტომბრიდან არხზე გადაცემები შეწყდა

ყველა ტოქშოუ და მათ ნაცვლად ყოველ სამუშაო დღეს ერთი გადაცემა, „არჩევანი 2018“ გადიოდა ეთერში.

ტელესივრცე ფაქტობრივად ორპოლუსიანი გახდა, სადაც „რუსთავი 2“ ერთ მხარეს, „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი კი მეორე მხარეს აღმოჩნდნენ. „რუსთავი 2-ზე“ ძირითადად განიხილავდნენ იმას, თუ რატომ იქნება ცუდი სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება, „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი კი გრიგოლ ვაშაძის გამარჯვებას „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც მოძალადე ძალის ხელისუფლებაში დაბრუნების შესაძლებლობად წარმოაჩენდნენ. გაიზარდა ეთიკური სტანდარტების დარღვევით, მანიპულაციების გამოყენებით მომზადებული გადაცემების რაოდენობა.

ამ პოლარიზებულ გარემოში შედარებით დაბალანსებულად და მიუკერძოებლად გამოიყურებოდა „ტვ პირველი“ და აჭარის ტელევიზია. „ტვ პირველი“ ახერხებდა ეთერში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და მოსაზრებების მქონე პირთა მიყვანას. აჭარის ტელევიზიის ეთერს კი მეორე ტურში გასული კანდიდატების მხარდამჭერი პარტიების ბათუმის წარმომადგენლები სტუმრობდნენ.

ვერც ერთმა ტელევიზიამ ვერ მოახერხა საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატების ორგანიზება, რადგან კანდიდატებმა უარი თქვეს შეთავაზებულ გადაცემებში მონაწილეობაზე. ზოგადად, ისინი არ სწყალობდნენ ტოქშოუებს და მხოლოდ რამდენჯერმე გამოჩნდნენ მათდამი ლოიალურად განწყობილ გადაცემებში.

მიკერძოება

პირველი ტურის დასრულების შემდეგ ორ კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილსა და გრიგოლ ვაშაძეს ხმათა თითქმის თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა შეიძინა იმანაც, თუ როგორ გაშუქდებოდა მეორე ტურის წინა პერიოდი.

თავად კანდიდატები სადისკუსიო გადაცემებში თითქმის არ მონაწილეობდნენ. სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ ერთხელ სტუმრობდა „იმედის კვირას“, გრიგოლ ვაშაძე კი მხოლოდ „რუსთავი 2-ს“ ჩაერთო სამჯერ (ორჯერ გადაცემაში „კვირის აქცენტები“ და ერთხელ „არჩევანში“). „არჩევანის“ სტუდიაში ვაშაძე მხარდამჭერებთან ერთად იმყოფებოდა და თავისი ხედვის, პროგრამის პრეზენტაცია გამართა. ამ გადაცემებში სტუმრობისას არცერთი კანდიდატის მიმართ არ დასმულა კრიტიკული კითხვები. სალომე ზურაბიშვილთან საუბარი „იმედის კვირაში“ ჩანაწერის სახით გავიდა. 20-წუთიანი ინტერვიუს განმავლობაში ის ზოგადად საუბრობდა პრეზიდენტის დანიშნულებასა და წინასაარჩევნო კამპანიაზე. როგორც წამყვანებმა განაცხადეს, „იმედზე“ „ნაციონალური მოძრაობა“ და გრიგოლ ვაშაძე არ მიდიოდნენ, „რუსთავი 2-ს“ კი სალომე ზურაბიშვილი არ სტუმრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატები გადაცემებში არ მონაწილეობდნენ, წინასაარჩევნო პერიოდი მკვეთრად იგრძნობოდა მაუწყებელთა ეთერში, განსაკუთრებით ეს „რუსთავი 2-სა“ და „იმედზე“ ითქმის.

კვლავაც უკიდურესად კრიტიკული რჩებოდა „რუსთავი 2“ სალომე ზურაბიშვილის მიმართ. ეს განსაკუთრებით ჩანდა „კვირის აქცენტებში“, სადაც ეს კანდიდატი წარმოჩენილი იყო, როგორც „მოღალატე“. წამყვანები აკრიტიკებენ მის მხარდამჭერებსაც

და ერთ-ერთი წამყვანი შეურაცხმყოფელ ფრაზებს, უცენზურო გამონათქვამებსაც არ ერიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე წამყვანი ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდა და აპროტესტებდა თანაწამყვანის გამონათქვამებს, გადაცემიდან გადაცემამდე რიტორიკა არ შეცვლილა. „კვირის აქცენტებში“ პრაქტიკულად არ ისმოდა წამყვანებისგან განსხვავებული აზრი.

21 ნოემბერს, როდესაც სალომე ზურაბიშვილის შვილმა გრიგოლ ვაშაძის შვილი დებატებში გამოიწვია, ნიკა გვარამიამ თქვა, რომ ხელისუფლება "წელს ქვემოთ დარტყმებზე" გადავიდა, რის შემდეგაც ისაუბრა სალომე ზურაბიშვილის პირად ურთიერთობებზე და თქვა, რომ მართლმადიდებელმა მრევლმა უნდა იცოდეს ამის შესახებ. მართალია, საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი, თუმცა, ისინი არ კარგავენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მიუღებელია მათი ცხოვრებიდან ისეთი დეტალების გასაჯაროვება, რაც მხოლოდ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს, იწვევს სპეკულაციებს. ამასთან, გადაცემის წამყვანის მხრიდან არაეთიკურია რელიგიით მანიპულირება. ნოემბერში გაიზარდა გადაცემის პერიოდულობა და კვირის გარდა რამდენჯერმე გადიოდა ეთერში.

სალომე ზურაბიშვილისადმი მკვეთრად კრიტიკული იყო „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „არჩევანიც“, სადაც უმეტესად ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად განწყობილი რესპონდენტების მოსაზრებები ისმოდა. სტუმრები მონოლოგის ფორმატში საუბრობდნენ, რა დროსაც აჟღერებდნენ არაზუსტ ინფორმაციასაც. მაგალითად, 6 ნოემბერს ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ფარცხალაძემ სცემა ლაშა თორდია, რადგან ამ უკანასკნელმა პროკურატურას გადაუგზავნა მასალები, რომლებშიც თითქოს საუბარია "კალაძის მერიასთან" კორუფციული გარიგებით მიღებულ უძრავ ქონებაზე. რეალურად, ეს შემთხვევა უკავშირდება ნარმანიას მერობის პერიოდს, თუმცა, ჟურნალისტს ამაზე რეაგირება არ ჰქონია.

არჩევნების წინა ღამეს „რუსთავი 2-ის“ ეთერში გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერაზე საუბრობდნენ, „იმედზე“ კი განიხილავდნენ, თუ რატომ უნდა მისცე ხმა სალომე ზურაბიშვილს და არ უნდა დაუჭირო მხარი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს.

„რუსთავი 2-სგან“ რადიკალურად განსხვავებული დისკურსი ჰქონდა „იმედის“ გადაცემებს, სადაც ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტებით ძალადობრივი რეჟიმი ბრუნდება.

ამ „საგანგებო რეჟიმზე“ „იმედი“ არჩევნების პირველი ტურის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ გადავიდა. არხის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეს: "წინასაარჩევნო პერიოდი განსაკუთრებულად მძიმე იქნება მეორე ტურის წინ, რადგან არჩევანის ერთ მხარეს „ნაციონალური მოძრაობა“ აღმოჩნდა. ტელეკომპანია „იმედმა“ და მისმა მფლობელებმა საკუთარ თავზე იწვნიეს რას ნიშნავს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“. ამიტომ „იმედი“ წინასაარჩევნოდ ცვლის საეთერო ბადეს და ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ არ დაბრუნდეს რეჟიმი."

„იმედის“ საგანგებო რეჟიმი ბადის შეცვლაში, ტოქშოუების რაოდენობის გაზრდასა და „ნაციონალური მოძრაობის“ უარყოფითად გაშუქების მატებაში გამოიხატა. დაემატა ახალი გადაცემა „იმედი-Live“, რომელიც დაახლოებით ისეთივე ფორმატისაა, როგორც „რუსთავი

2-ზე“ „კვირის აქცენტები“. აქაც ორი წამყვანი საკუთარ მოსაზრებებს ღიად გამოხატავს. ეთერში გასვლის პირველ დღეს წამყვანმა თეონა გეგელიამ საგანგებო მუშაობის არსი ასე განმარტა:

„28 ოქტომბრამდე არჩევანი აპოკალიპტური არ იყო. შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობის, მისი ერთკაციანი პარტიული პარტნიორების და მისი ინტერნეტ აქტივისტების მუდმივი თავდასხმების მიუხედავად „იმედს“ არ სჭირდებოდა ვინმეს წინააღმდეგ პოზიციონირება. ნორმალურ გარემოში ეს არ არის ტელევიზიის საქმე. სამწუხაროდ, 28 ოქტომბრის არჩევნები თავისი შედეგებით 6 წლის წინანდელ ნიშნულს დაუბრუნდა და ერთ მხარეს აღმოჩნდა პოლიტიკური ჯგუფი, რომლის სახელიც და საქმიანობაც საქართველოს უახლოეს ისტორიაში სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოქალაქეებზე ტოტალურ ძალადობას, თვალთვალს, განსხვავებული აზრის მიმართ აბსოლუტურ შეუწყნარებლობას და ტყუილის და პროპაგანდის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანას უკავშირდება. მის დანაშაულებს შორისაა ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა და მფლობელებისთვის წართმევა. ამიტომ, ამ ძალის რომელიმე შტოსთან მიახლოების წინააღმდეგ პოზიციონირება ეს არის ამ ტელეკომპანიის ღირებულებითი არჩევანი და ჩემი პირადი არჩევანიც”.

ამ შესავლით მან ფაქტობრივად დაადასტურა, რომ მთელი სარედაქციო პოლიტიკა სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, რაც ასეც მოხდა. ეს არის პირდაპირი განაცხადი, რომ ამ გადაცემაში ბალანსის და სამართლიანი გაშუქების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა მაყურებელს, რაც არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს.

„იმედი Live-ის“ განსახილველი თემა ძირითადად იყო, თუ “როგორ აღმოჩნდა „ნაციონალური მოძრაობა“ ასე ახლოს სახელისუფლებო შტოსთან” და ხომ არ ემზადებიან ისინი არეულობისთვის. წამყვანები ცდილობდნენ „რუსთავი 2-ის“ გადაცემები და „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედებები მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ როგორც ძალადობის სიმბოლოს ხელისუფლებაში დაბრუნების წყურვილი. ამბობდნენ, რომ “აქეთ მხარეს არის სალომე, აქეთ კიდევ „დუბინკა“ და რეზინის ტყვია;” ნაციონალურ მოძრაობას უწოდებდნენ “მკვლელებს”, “ჯალალ ედ-დინს”. წამყვანმა თქვა, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და ოცნებას შორის არის ისეთივე განსხვავება, როგორც კანიბალებსა და ვეგეტარიანელებს შორის. ისმოდა წამყვანების მოწოდებები - „არა ნაციზმს!“ აღსანიშნავია, რომ ამ სახელწოდებით 25 ნოემბერს პატრიოტთა ალიანსმა გამართა „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო აქცია.

გადაცემაში იყო ვიზუალური მანიპულაციაც, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს დარბეული აქციის კადრებთან ერთად, საუბრის პარალელურად, გადიოდა მჩქეფარე სისხლის კადრები საშინელებათა ფილმიდან.

პირველი ტურის დასრულების შემდეგ ცვლილება განიცადა „იმედის“ კიდევ ერთმა გადაცემამ „პირისპირ“, რომელიც კვირაში უკვე ორჯერ გადიოდა ეთერში. წამყვანი არ მალავდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის მიმართ. გადაცემის სტუმრები ერთმანეთს ეკამათებოდნენ ძირითადად იმაზე, რომელი პარტია უფრო დიდი ბოროტებაა და ვისი მხარდაჭერა უფრო სირცხვილია (9.11) საბჭოთა დიპლომატი, რუსული განათლების და ბიოგრაფიის მქონე ვაშაძე თუ ევროპული განათლების მქონე დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი – ეს იყო

მთელი გადაცემის ლაიტმოტივი. „ნაციონალურმა მოძრაობამ წითელი ხაზები გადაკვეთა, კანდიდატი, რომელიც საბჭოთა დიპლომით, დიპლომატიით და რუსული კულტურით ამაყობს, დასავლური ღირებულებების მქონე კონკურენტის გზიდან ჩამოცილებას მოღალატის იარლიყის მიკერებით ცდილობს," – თქვა წამყვანმა 13 ნოემბერს გადაცემის შესავალში. 16 ნოემბერს კი მან გადაცემა ამ ტექსტით გახსნა – „რასაც ნაციონალური მოძრაობა და მასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები აკეთებენ, სწორედ ესაა ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა."

„ნაციონალური მოძრაობის" დაბრუნების საფრთხეზე საუბრობდნენ საზოგადოებრივი მაუწყებელზეც, რომლის სამაუწყებლო ბადემაც ასევე ცვლილება განიცადა პირველი ტურის დასრულების შემდეგ – ეთერიდან გაქრა პირველი ტურის წინ შექმნილი ფორმატი „დღის თემა", ასევე ირაკლი აბსანძის „კვირის ინტერვიუ" და მაკა ცინცაძის „აქტუალური თემა". მის ნაცვლად 5 ნოემბრიდან ეთერში გადიოდა ტოქშოუს ფორმატის გადაცემა „არჩევნები 2018". ტოქშოუს ოთხი წამყვანიდან სამი მაუწყებლის ანალიტიკოსი იყო. მათთან დიალოგით იწყებოდა გადაცემა. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ტურის შემდეგ „იმედსა" და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაემატა ისეთი გადაცემები, რომლებშიც წამყვანებიც საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანთა ტექსტები შედარებით დაბალანსებული და კორექტული იყო.

გადაცემა უმეტესად ხელისუფლების ნარატივს ატარებდა. მაგალითად, არ ინტერესდებოდნენ მმართველი პარტიის შეცდომებით. წამყვანები წლების წინანდელ კოაბიტაციას განიხილავდნენ. ამ საკითხზე დისკუსია ჯერ კალაძემ დაიწყო „იმედზე", შემდეგ კი იგივე ნარატივი მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლებმა განავრცეს. გადაცემას, უმეტესად, ლაიტმოტივად გასდევდა ის, რომ მოძალადე ხელისუფლება არ უნდა დაბრუნდეს. სტუმრებიც და წამყვანებიც ამ გზავნილს იმეორებდნენ. მაგ. ერთ-ერთმა წამყვანმა თქვა: „ნაციონალური მოძრაობის" დროს ადამიანები ელოდებოდნენ სიკვდილს იმის გამო, რომ არ ჰქონდათ საშუალება წასულიყვნენ და ემკურნალათ" (22.11).

ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვან პრობლემებსაც წამყვანები სტუმართან 9-წლიანი მმართველობის ჭრილში განიხილავდნენ. ცდილობდნენ გადაცემაში ეჩვენებინათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის სოციალური დაპირებები პოპულისტური და არარეალისტურია, (მაგალითად 400-ლარიანი პენსია). 13 ნოემბრის გადაცემაში გიორგი ვაშაძესთან სწორედ ამაზე იკამათეს.

მმართველი პარტიისგან განსხვავებით გაერთიანება „ძალა ერთობაშიას" წევრებს წამყვანები კარგ ოპონირებას უწევდნენ. კითხვის ფორმულირებას ცვლიდნენ, კითხვას იმეორებდნენ მანამ, სანამ მათთვის დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებდნენ. ასე იყო, მაგალითად, რომან გოცირიძის, გიორგი ვაშაძის სტუმრობისას.

მეორე ტურის წინ „ნაციონალური მოძრაობის" და „ძალა ერთობაშიას" კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო ტელეკომპანია „ობიექტივიც," ვინაიდან „პატრიოტთა ალიანსმა" გადაწყვიტა მხარი დაეჭირა სალომე ზურაბიშვილისათვის და ებრძოლა ვაშაძის წინააღმდეგ. პირველი ტურისგან განსხვავებით, მეორე ტურამდე გადაცემაში ხშირად მონაწილეობდნენ „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერები ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი. მხოლოდ ნოემბერში ისინი ერთად 9-ჯერ სტუმრობდნენ გადაცემას „ღამის სტუდია". 1 აგვისტოდან მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ჯამში „პატრიოტთა ალიანსის" 44 წევრი სტუმრობდა

ამ ტოქშოუს, მათგან 24 კი მხოლოდ ნოემბრის თვეში მონაწილეობდა გადაცემაში. ისინი პირდაპირ მხარდაჭერას გამოხატავდნენ სახელისუფლო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მიმართ. წამყვანები ღიად მოუწოდებდნენ აუდიტორიას არჩევნებზე მისულიყვნენ და 48 შემოეხაზათ. ისინი აკრიტიკებდნენ ბიძინა ივანიშვილს იმისთვის, რომ არ აღადგინა სამართლიანობა, არ დასაჯა სათანადოდ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები. ამასთან, აანონსებდნენ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ 25 ნოემბერს დაგეგმილ აქციას „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. „ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ არჩევანი, რომ მოვრჩეთ ნაცებს და მერე მივხედოთ ოცნებას,“ – ამბობდა წამყვანი. 21 ნოემბერს გადაცემა კი ასე დაასრულა: „მოსახლეობა უარს ეუბნება, არა ნაცმოძრაობას, არა ნაცსექტას, სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, რევანში არ გაგივათ, საქართველო არ დაბრუნდება 2004-2012 წლების სისხლიან ეპოქაში. უკან ვერ დააბრუნებთ, ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან. ხოლო იმ მდინარეში, სადაც თქვენ მიერ მოკლული ადამიანების ცხედრები ტივტივებდა, მდინარეში, რომელიც სისხლის სუნად ყარდა, საქართველო არასოდეს აღარ დაბრუნდება.“

გადაცემის მსვლელობისას სტუდიაში შემოსული ზარებიდან საუბარს არ ასრულებინებდნენ და თიშავდნენ ბიძინა ივანიშვილისადმი კრიტიკულად განწყობილ პირებს.

ინტერვიუები ხელისუფლების წარმომადგენლებთან

მეორე ტურის წინ გადაცემებს სტუმრობდნენ პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მმართველი პარტიის თავმჯდომარე. ისინი ძირითადად „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს სწყალობდნენ. „რუსთავი 2-ს“ მხოლოდ ფინანსთა მინისტრი ჩაერთო.

„იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე წამყვანები კრიტიკული კითხვებისა და ოპონირების ნაცვლად უფრო მეტად საკუთარ გეგმებზე სასაუბროდ პლატფორმას სთავაზობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რაც მათ პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენის საშუალებას აძლევდა.

მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე „არჩევანი 2018-ს“ პრემიერ-მინისტრი და მინისტრები სტუმრობდნენ (ეკონომიკის, გარემოს დაცვის, იუსტიციის), თუმცა წამყვანები არ იყვნენ კრიტიკული და არ გამოუყენებიათ შანსი, რომ პრობლემურ საკითხებზე მიეღოთ მთავარ პასუხისმგებელ პირთა ახსნა-განმარტებები. 19 ნოემბერს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე იმეორებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „ფონდი ქართუს“ და „ქართული ოცნების“ ინიციატივა 600 000 მოქალაქის სესხის დაფარვაზე. პრემიერ-მინისტრს სრული თავისუფლება ჰქონდა მხოლოდ პოზიტიურად განეხილა ეს ინიციატივა და საბოლოოდ ისე დასრულდა ინტერვიუ, ბევრი დეტალი ბუნდოვანი დარჩა. წამყვანები საშუალებას აძლევდნენ პრემიერ-მინისტრს გამუდმებით დაბრუნებოდა წინა ხელისუფლებისგან დატოვებულ მძიმე მემკვიდრეობაზე საუბარს.

ბიძინა ივანიშვილი, მამუკა ბახტაძე და თეა წულუკიანი სტუმრობდნენ „იმედი Live-ს“. კრიტიკული კითხვები არც აქ დასმულა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილისთვის არ უკითხავთ იმ ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ, რამაც, სავარაუდოდ, იმოქმედა მისი და მისი პარტიის რეიტინგზე. არ ჰკითხეს არც იმ პრობლემების შესახებ, რაზეც, როგორც თავადვე აცხადებს, „ნაწყენია ხალხი“. გადაუხდელი ვალების ჩამოწერაზე დაუსვეს კითხვა, მაგრამ არ ჩაეძივნენ, არის თუ არა ეს

ინიციატივა ამომრჩევლის მოსყიდვა. ერთ-ერთი წამყვანი ნიკა ლალიაშვილი ბიძინა ივანიშვილს აქებდა კიდეც: „2012 წელს თქვენი მეთაურობით მოხდა არა მარტო ხელისუფლების, არამედ მთელი ფორმაციის ცვლილება. ქართველმა ხალხმა შეცვალა ტირანია დემოკრატიით.“

ასევე კრიტიკული კითხვების და ოპონირების გარეშე დასრულდა ინტერვიუ ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანთან, ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან გადაცემაში „პირისპირ“. სამივე ინტერვიუ მხოლოდ დადებით ჭრილში წარმოაჩენდა მინისტრებს.

„იმედისაგან“ განსხვავებული ინტერვიუ შესთავაზა აუდიტორიას „რუსთავი 2-მა“ ფინანსთა მინისტრთან (20.11). დაისვა ყველა მნიშვნელოვანი შეკითხვა ხელისუფლების ინიციატივასთან დაკავშირებით საბანკო დავალიანების მქონე პირებზე და ჟურნალისტმა აჩვენა მომზადების ძალიან კარგი დონე. მისი კითხვები იყო კრიტიკული, ლოგიკური და ასახავდა საზოგადოებაში არსებულ პრეტენზიებს, მოსაზრებებსა და ეჭვებს. ფინანსთა მინისტრთან ინტერვიუს შემდეგ ისაუბრეს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა და შეაფასეს ხელისუფლების ეს ინიციატივა. მსგავსი ფორმატი ხელს უწყობს მოქალაქეების ინფორმირების დონის გაზრდას კონკრეტულ საკითხზე, ვინაიდან მაყურებელს საშუალება ჰქონდა მოესმინა როგორც ხელისუფლების განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ისე მისი ოპონენტების შეფასებები და ანალიზი.

დებატები

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები მეორე ტურის წინ არ გამართულა. არხების შეთავაზების მიუხედავად კანდიდატები პირისპირ დისკუსიას არ დათანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ნეტგაზეთს“ გრიგოლ ვაშაძის შტაბში დაუდასტურეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე დებატებში მონაწილეობის სურვილი, მაუწყებლის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ მათ კანდიდატების თანხმობა არ ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, მაყურებელმა კანდიდატებს შორის დებატები ვერ იხილა. ამის ნაცვლად გრიგოლ ვაშაძეც და სალომე ზურაბიშვილიც ცალ-ცალკე სტუმრობდნენ გადაცემებს. ნიშანდობლივია ის, რომ კანდიდატები იმ არხებზე მივიდნენ, რომელთა სარედაქციო პოლიტიკა უფრო ლოიალური იყო მათ მიმართ; ვაშაძე – „ რუსთავი 2-ზე“, ზურაბიშვილი – „იმედზე“.

კონსტრუქციული დებატები არც ამ კანდიდატების მხარდამჭერებს შორის გამართულა. ისინი არ სხდებოდნენ პირისპირ და უმეტესად ან ცალ-ცალკე ერთვებოდნენ გადაცემაში, ან ერთი მათგანი სტუდიაში იჯდა, მეორე კი ერთვებოდა. შეიძლება გამონაკლისად მივიჩნიოთ 20 ნოემბრის „არჩევანი“, სადაც ნიკა მელია და გიორგი ვოლსკი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მწვავე დისკუსიის მიუხედავად დებატები არ გასცდენია გადაცემის თემატიკაზე საუბარს, კერძოდ, განიხილეს ის დარღვევები (ამომრჩეველზე ზეწოლა, მოსყიდვა და ა.შ.), რაზეც აპელირებდა ოპოზიცია. ხელისუფლების წარმომადგენელს ჰქონდა შესაძლებლობა სრულყოფილად გაეცა ამ ბრალდებებზე პასუხი. მთლიანობაში ასეთი დისკუსია მაყურებლის ინფორმირების დონის გაზრდას ემსახურებოდა. თუმცა, ამ გადაცემაშიც ოპონენტები ერთმანეთის პირისპირ არ ისხდნენ და სხვადასხვა ადგილიდან ერთვებოდნენ სტუდიაში.

ერთმანეთის პირისპირ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ყველაზე ხშირად ისხდნენ აჭარის ტელევიზიის ეთერში, სადაც წამყვანმა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოახერხა დებატების მართვა. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ცალკე ტოქშოუ აჭარის ტელევიზიას ეთერში არ გაუშვია. სტუმრების ნაწილი ინტეგრირებული იყო საინფორმაციო გამოშვებაში.

ზოგადად, ჩანს, რომ წამყვანებს უჭირთ დებატების მართვა. მაგალითად, თუნდაც „ტვ პირველის“ გადაცემების წამყვანები პირისპირ ინტერვიუს ფორმატში ძალიან მომზადებულები არიან და მათი კითხვებიც მწვავეა, მაგრამ როგორც კი ორი დაპირისპირებული მხარე ჰყავთ სტუდიაში, უჭირთ მათ შორის დებატების მართვა. უმეტესად მოდერატორის როლს ირგებენ, რაც უწყობს ხელს იმას, რომ სტუმრები ასცდნენ სადისკუსიო თემას და ურთიერთბრალდებების ჭრილში გადაიტანონ ნებისმიერი საკითხი.

წამყვანთა მოუმზადებლობა და ზედაპირული დისკუსია

კვლავაც კრიტიკას იმსახურებს წამყვანთა მომზადების დონე. ყველა არხზე გადაცემების თემა უმეტესად იყო საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეფასება და მეორე ტურისთვის სამზადისი. წამყვანები ან ვრცელი კომენტარების გაკეთების საშუალებას აძლევდნენ რესპონდენტებს, ანდა ზედაპირულ დისკუსიას წარმართავდნენ. ამით ხელს უწყობდნენ მოწვეულ სტუმრებს ესაუბრათ ბევრ თემაზე და სტუდიაში დისკუსიის მართვა შეუძლებელი გამხდარიყო.

არ სვამდნენ კითხვებს, რომლებსაც ფაქტობრივ გარემოებებზე დააფუძნებდნენ. არ მოჰყავდათ ციტატები, ან არ ახდენდნენ ციტირებას კონკრეტული ანგარიშებიდან. წამყვანები ცდილობდნენ დისკუსია აეწყოთ უმეტესად დაპირისპირებული მხარეების ბრალდებებზე, შეფასებებზე; სტუმრებისთვის ეპასუხებინათ ამ ბრალდებებზე ანდა უბრალოდ ტრიბუნა მიეცათ რესპონდენტებისთვის საკუთარი აზრის ვრცლად გამოსათქმელად.

თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც წამყვანები კარგად იცნობდნენ სადისკუსიო თემას, იყვნენ მომზადებულები და მწვავე კითხვები დაუსვეს რესპონდენტებს. ეს უმეტესად ტვ პირველისა და აჭარის ტელევიზიის ეთერში ხდებოდა. აჭარის ტელევიზიის ეთერში გამორჩეული იყო თეონა ბაკურიძის მიერ წაყვანილი დისკუსია, აჩვენებდა მომზადების მაღალ დონეს, კითხვებს აფუძნებდა ფაქტებს და ცდილობდა რესპონდენტისგან კონკრეტული პასუხის მიღებას.

უკონტროლო დისკუსია

პირველი ტურისგან განსხვავებით მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში გაიზარდა იმ გადაცემების რიცხვი, სადაც ბევრი სტუმარი, საზოგადოებისთვის ცნობილი სახე მონაწილეობდა. ეს სტუმრები არ ფლობდნენ კონკრეტულ ინფორმაციას და მათი მიწვევის ერთადერთი კრიტერიუმი კონკრეტული კანდიდატისადმი მხარდაჭერა იყო. ასეთ გადაცემებში წამყვანებს განსაკუთრებით უჭირდათ აუდიტორიის მართვა. ამ მხრივ გამორჩეული იყო „ტვ პირველის“ ტოქშოუები. სტუმრებს უწევდათ წამყვანებისთვის იმის

შეხსენება, რომ ახლა მათი საუბრის დროა, სთხოვდნენ მათ დაეშომინებინათ სხვა სტუმრები. 2 ნოემბრის გადაცემაში კი ჟურნალისტები წამოდგნენ და ინდივიდუალურად აწყნარებდნენ სტუმრებს. მრავალ ხმაში ხმამაღალი საუბრით გამოირჩეოდა იმედის გადაცემის „პირისპირ“ 9 ნოემბრის გამოშვებაც, რომელიც ერთმა სტუმარმა დატოვა კიდეც.

ასეთ მრავალხმიან საუბარს სტუდიაში გარკვეულწილად წამყვანებიც უწყობენ ხელს; ერთი მხრივ იმით, რომ ტრადიციულად დაპირისპირებულ პირებს სვამენ ერთმანეთის პირისპირ, მეორე მხრივ კი იმით, რომ გადაცემა მთლიანად ურთიერთბრალდებებსა და დაპირისპირებაზეა აგებული ნაცვლად კონკრეტულ საკითხზე დისკუსიისა და ანალიზისა. ნაცვლად იმისა, რომ გადაცემა მიჰყვებოდეს ჟურნალისტების გაწერილ დღის წესრიგს, იგი იცვლება რესპონდენტების სურვილისამებრ.

შეურაცხმყოფელი ფრაზები

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ნაკლებად ისმოდა სიძულვილის ენა[2], მეორე ტურის წინა პერიოდის გაშუქება სავსე იყო შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით. ნეგატიურ კამპანიას კანდიდატთა საწინააღმდეგოდ თან ახლდა როგორც წამყვანების, ასევე რესპონდენტების მხრიდან არაკორექტული გამონათქვამები. „დუჟმორეულები“, „გიჟი“, „ფსიქიკურად შერყეული პიროვნება“, „შეპყრობილი“ – ეს ფრაზები უცხო არ იყო „კვირის აქცენტებში“. გადაცემა „არჩევანში“ კი (30.10) რესპონდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა სალომე ზურაბიშვილს უწოდა „უტიფარი, გასტროლირი ქალი“. რამდენიმე წამში კი შეურაცხყოფა მიაყენა „ქართული ოცნების“ დეპუტატს, ვიცესპიკერ თამარ ჩუგოშვილს. „გოგო, აბა, მოდი ცოტა ჭკუაზე“, – თქვა მან. თუმცა, მის ამ რეპლიკას არც წამყვანის, არც გადაცემის სტუმრების მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია. სააკაშვილის ეს ფრაზა მკვეთრად გააკრიტიკეს სოციალურ ქსელში, რის შემდეგაც მან ბოდიში მოიხადა.

სტუმრის მხრიდან სექსისტური გამონათქვამი ისმოდა „იმედის“ გადაცემაში „პირისპირ“ (9.11) „ნაცმოძრაობა იქცევა ჯიუტი გარყვნილი ქალივით... ნაცმოძაობა არის გარყვნილი ქალი... ეს [გარყვნილება] მას აქვს სისხლში გამჯდარი“, – თქვა რესპონდენტმა ჯაბა ჯიშკარიანმა. წამყვანს არ მიუთითებია, რომ ამგვარი შედარება მიუღებელია.

კვლავაც უხვად იყო როგორც სიძულვილის ენა, ასევე შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ობიექტივის გადაცემა „ღამის სტუდიაში“. ჟურნალისტი თანაზიარი იყო იმ ქსენოფობიური გამონათქვამებისა, რომლებსაც განსაკუთრებით „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები იყენებდნენ. 2 ნოემბერს გადაცემაში შემოვიდა მაყურებლის ზარი, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ უნდა ამოხოცონ თურქები, ირანელები, არაბები და თუ ამ პრობლემას არ მიხედა „ქართულმა ოცნებამ“, ისიც მოსაკლავი იქნება. აღნიშნულის პასუხად სტუმრად მყოფმა დავით თარხან-მოურავმა განაცხადა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ამ წინადადებას,

[2] სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით. *ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე* No.R(9)20,1997
http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dh-lgbt_docs/CM_Rec(97)20_en.pdf

არანაირი თურქები, არანირი ირანელები, არანაირი არაბები, სირიელები, ჩვენ ჩვენი ლტოლვილებისთვის ვერ მოგვივლია, არანაირი სხვა უცხო ტომის ლტოლვილების მიღება“. არც წამყვანი და არც ირმა ინაშვილი აღნიშნულ განცხადებას არ გამიჯვნია და არც კორექტულობისკენ მოუწოდებიათ.

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია" გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ,,საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი" ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებას 8 სატელევიზიო არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში. მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, მაესტრო, ობიექტივი, იბერია[3], აჭარის ტელევიზია.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 29 ოქტომბერი - 27 ნოემბრის პერიოდში გასული გადაცემების ანალიზს.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

რაოდენობრივი ტენდენციები

პირველი ტურისაგან განსხვავებით საპრეზიდენტო კანდიდატები 28 ოქტომბრის შემდეგ, მეორე ტურის წინ, უფრო აქტიურად შუქდებოდნენ.

[3] 2018 წლის 16 ოქტომბრიდან არხზე გადაცემები შეწყდა

ორი საპრეზიდენტო კანდიდატიდან სალომე ზურაბიშვილს ჯამში უფრო მეტი დრო დაეთმო, ვიდრე გრიგოლ ვაშაძეს. სალომე ზურაბიშვილი ყველაზე დიდი ქრონომეტრაჟით „რუსთავი 2“-მა გააშუქა, თუმცა ამ გაშუქების 89% უარყოფითი იყო. ყველაზე დადებითად სალომე ზურაბიშვილი დათმობილი დროის 29%-ით ობიექტივის ეთერში გაშუქდა. გრიგოლ ვაშაძეს ყველაზე მეტი დრო „იმედმა“ დაუთმო. ყველაზე პოზიტიურად კი „რუსთავი 2-ის“ ეთერში წარმოჩინდა. ამ კანდიდატისთვის დათმობილი დროის 12% დადებითი იყო. ყველაზე უარყოფითად ვაშაძე „ობიექტივმა“ გააშუქა. ამ არხზე მისთვის დათმობილი დროის 74% უარყოფითი იყო.





არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდში აშკარად შესამჩნევი გახდა პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქების ტონის ცვლილება ზოგიერთ არხზე. მაგალითად, მკვეთრად გაიზარდა (56%-დან 89%-მდე) სალომე ზურაბიშვილის უარყოფითი გაშუქება „რუსთავი 2“-ზე.

იგივე მოხდა „ობიექტივზე.“ თუ 28 ოქტომბრამდე ამ არხის საინფორმაციო გამოშვებებში გრიგოლ ვაშაძისთვის დათმობილი დროის მხოლოდ 7% იყო უარყოფითი, მეორე ტურის წინ ეს მაჩვენებელი 74%-მდე გაიზარდა.

საინტერესოა მეორე ტურში გადასული საპრეზიდენტო კანდიდატების პირდაპირი და ირიბი[4] გაშუქების მაჩვენებელიც. ეს ინდიკატორი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, არხი ტრიბუნას უთმობს კონკრეტულ კანდიდატს, თუ მასზე სხვები საუბრობენ.

სალომე ზურაბიშვილი მისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტი თავად საუბრობდა (პირდაპირი გაშუქება) „ობიექტივსა“ (55%) და „იმედზე“ (43%), ყველაზე ნაკლებად კი – „რუსთავი 2“-ზე (13%). გრიგოლ ვაშაძეს პირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (68%) „რუსთავი 2“-ზე ჰქონდა, ყველაზე დაბალი (8%) კი – „ობიექტივზე.“



[4] პირდაპირია,, როცა სუბიექტი, ამ შემთხვევაში კანდიდატი, თავად საუბრობს და ირიბია, როცა მასზე კანდიდატზე საუბრობენ



რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ სალომე ზურაბიშვილს მკვეთრად უარყოფითად აშუქებდა მხოლოდ „რუსთავი 2“, დანარჩენ არხებზე მას ძირითად ნეიტრალური გაშუქება ჰქონდა. გრიგოლ ვაშაძეს ყველაზე დადებითად „რუსთავი 2“ აშუქებდა. ვაშაძის შემთხვევაში ყველა არხზე, გარდა „რუსთავი 2“-ისა პოზიტიურ გაშუქებას უარყოფითი გაშუქება სჭარბობდა.

ჯამში, ყველა არხის მონაცემებით, მეორე ტურის წინა პერიოდში გრიგოლ ვაშაძე უფრო უარყოფითად შუქდებოდა, ვიდრე მისი ოპონენტი.

ზოგადი შინაარსობრივი ტენდენციები

მეორე ტურმა უფრო აშკარა გახადა ტელემაუწყებლების დამოკიდებულება კონკრეტული საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ. „იმედმა“ მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადასვლა გამოაცხადა და საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროინდელი საქმეების წამოწევას და მის მძაფრ კრიტიკას დაუთმო. „რუსთავი 2“-ს არ განუცხადებია საგანგებო მდგომარეობის შესახებ, თუმცა მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული სიმძაფრით აკრიტიკებდა სალომე ზურაბიშვილს და „ქართულ ოცნებას.“

ორივე არხმა დაივიწყა ეთიკური პრინციპების უმრავლესობა და ჟურნალისტიკა მეტწილად პროპაგანდით ჩაანაცვლა. ჟურნალისტები ღიად, საკუთარი მიკერძოებული ტექსტებით, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი ციტატებით აკრიტიკებდნენ სამიზნეში ამოღებულ სუბიექტებს.

ამ პერიოდში მკვეთრად გააქტიურდა „ობიექტივი“, რომელიც საინფორმაციო გამოშვებების უდიდეს ნაწილს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების „ცხრაწლიანი“ პერიოდის კრიტიკას უთმობდა. ამ არხზე ეთიკური პრინციპების დარღვევას განგრძობითი ხასიათი ჰქონდა. თუ პირველ ტურში „ობიექტივი“ უმეტესად მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსს“ აშუქებდა, მეორე ტურის წინ სარედაქციო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. უფრო ხშირად ჩანდნენ „ქართული ოცნების“ წევრები და პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი. არხს ჰქონდა მკვეთრად გამოხატული გზავნილი: „არა სააკაშვილი-ბოკერიას დამნაშავე რეჟიმს!”. „ობიექტივის“ ეთერში გასული სიუჟეტები მოკლებული იყო ყოველგვარ ჟურნალისტურ სტანდარტს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთ ფლანგზე იყო „იმედი,“ „ობიექტივი“ და პირველი არხი გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ, მეორე ფლანგზე კი – „რუსთავი 2“ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. როგორც წინა ანგარიშში აღვნიშნეთ, პირველი არხი გამოირჩევა ხელისუფლებისადმი ლოიალური სარედაქციო პოლიტიკით. მეორე ტურის წინ ეს ტენდეცია უფრო შესამჩნევი გახდა, მომრავლდა სიუჟეტები „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდზე, იმდროინდელი მაღალჩინოსნების დანაშაულებებზე.

კიდევ უფრო შემცირდა ისეთი თემების წამოწევა, სადაც დღევანდელი ხელისუფლება უარყოფითად შეიძლებოდა წარმოჩენილიყო. „მოამბეში“ ამბების თანმიმდევრობაც ხშირად ამ პოლიტიკის დამადასტურებელი იყო. ზოგჯერ ხელისუფლებისთვის მწვავე თემები გამოშვების მეორე ნაწილში შუქდებოდა, ამასთან, ნაკლებ კრიტიკული აქცენტებით. ამის ფონზე, გამხსნელ სიუჟეტებად გვხვდებოდა წინა ხელისუფლების მამხილებელი სიუჟეტები და „ქართული ოცნების“ მიერ მეორე ტურის დანიშვნის შემდეგ მოსახლეობისთვის შეთავაზებული სიკეთეები: კანაფის კულტივაციის კანონპროექტის გაწვევა, ბავშვებისთვის სოციალური დახმარების გაზრდა, საბანკო შეღავათები და ა.შ.

პირველი არხი, ხელისუფლების მსგავსად, გამოირჩეოდა არასამთავრობო სექტორის მიმართ კრიტიკული მოსაზრებების ტირაჟირებით. ასეთ სიუჟეტებში უმეტესად ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია დომინირებდა. ტენდენციის სახე ჰქონდა სიუჟეტებში ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი დოზით და “ბოლო სიტყვის უფლებით” მონაწილეობას. შეგვხვდა შემთხვევები, როცა არასამთავრობოებზე, ოპოზიციაზე, მომზადებულ სიუჟეტებში დასკვნითი სიტყვა მაინც ხელისუფლებას ეკუთვნოდა.

პირველი არხი დადებითად აშუქებდა ბიძინა ივანიშვილს. მისი ინტერვიუების შესახებ „მოამბეში“ გასული სიუჟეტები ივანიშვილის დადებითად წარმოჩენის შთაბეჭდილებას ტოვებდა. „მოამბე,“ როგორც წინა ანგარიშში აღვნიშნეთ, ამჯერადაც დადებით კონტექსტში აჩვენებდა პრემიერის საქმიანობას. მის მიერ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების გახსნა თუ მონახულება მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე აქტიურად შუქდებოდა.

რამდენიმე სიუჟეტში დაფიქსირდა არხის დადებითი დამოკიდებულება სალომე ზურაბიშვილის მიმართ. ამასთან, არხს აშკარა, უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა გრიგოლ ვაშაძის მისამართით.

გავიდა რამდენიმე სიუჟეტი, რომელთა მთავარი გზავნილი იყო, თუ რა საფრთხეებს შეიცავდა გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტება. ასევე, რამდენიმე სიუჟეტში დაფიქსირდა ჟურნალისტის მიკერძოება „ნაციონალური მოძრაობის“ უარყოფითად წარმოჩენის კუთხით. პირველი არხი განსაკუთრებული ინტენსივობით აშუქებდა ყველა იმ მოძრაობას, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ წამოიწყეს: აქციები შინაარსით „არა ნაცებს!“ „მოამბეში“ პერმანენტულად და ზოგჯერ დაუბალანსებლად შუქდებოდა.

სხვა არხები მეტწილად დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ მიმდინარე ამბებს. იყო გონივრული ბალანსის დარღვევის ერთეული შემთხვევები, თუმცა პოლიტიკური მიკერძოება რომელიმე კანდიდატის მიმართ შესამჩნევი არ იყო.

მეორე ტურის წინა პერიოდში მოიმატა არაეთიკური, უცენზურო, შეუსაბამო გამონათქვამების ტირაჟირებამ. ამ კუთხითაც „რუსთავი 2“, „იმედი“ და „ობიექტივი“ გამოირჩეოდნენ. ამ არხებზე ხშირად ჰქონდა ადგილი ფაქტებით მანიპულირებას. მაგალითად, „რუსთავი 2“-ის გადაცემა „P.S“-ის 18 ნოემბრის გამოშვება ეთერში უცნაური წამყვანით გავიდა: გიორგი გაბუნიას ნაცვლად ეკრანიდან აუდიტორიას გრაფიკული ვიზუალიზაციით ესაუბრებოდნენ ოცნების ხელისუფლების წევრები სალომე ზურაბიშვილის ტანზე მიბმული თავებით, რაც მხოლოდ მანიპულაციაა და პროფესიულ სტანდარტებში არ ჯდება. გიორგი გაბუნია გამოირჩეოდა სალომე ზურაბიშვილის მიმართ მიკერძოებული, არაეთიკური და შეურაცხმყოფელი განცხადებებით. მაგალითად, 11 ნოემბრის გადაცემაში, მან ზურაბიშვილი პლასტმასის ნაძვის ხეს შეადარა და ივანიშვილს მისი პარლამენტის წინ განთავსება ურჩია.

ასევე მანიპულაციური იყო „იმედის“ 30 ოქტომბრის სიუჟეტი სახელწოდებით „გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტობის პერსპექტივა.“ წამყვანის ტექსტით ვაშაძის არჩევა ერთგვარ აპოკალიფსად იყო წარმოჩენილი. ამ გზავნილს ავითარებდა სიუჟეტში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა. მანიპულაციის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა „იმედის კვირაში“ 4 ნოემბერს გასული სიუჟეტის წარსადგენ ტექსტში. წამყვანმა შემდეგი ციტატა თქვა: „წინასწარი შედეგების გამოცხადება ორივე შტაბში აღნიშნეს. „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატს წარმატება პირველად ოკუპანტის ენაზე რუსმა პიარტექნოლოგებმა მიულოცეს. სალომე ზურაბიშვილს კი – შვილებმა ფრანგული აქცენტით.”

ამ კუთხით საინტერესო იყო „ობიექტივის“ ეთერში 1 ნოემბერს გასული ვიდეო სათაურით „არა მიშას“. მას რეჩიტატივად გასდევდა მიხეილ სააკაშვილის ხმა სიტყვებით „მეც გამოვიცვალე - ბევრად უფრო დაწყნარებულად.“ ამ სიტყვების არაერთგზის გამეორების ფონზე გადიოდა აქციების დარბევის, ომის, დახოცილი ადამიანების, ზურაბ ჟვანიას ცხედრის კადრები, რაც გრძელდებოდა წუთზე დიდხანს. სიუჟეტი სრულდებოდა წარწერით: „არა სისხლიან რეჟიმს !!! სააკაშვილი ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდება!!“

მეორე ტურის წინა პერიოდში მსგავსი მანიპულაციური გაშუქება სხვა არხებზე არ დაფიქსირებულა. მეორე ტურის წინ უფრო მეტი აქცენტი იყო კანდიდატებზე, ვიდრე 28 ოქტომბრამდე, თუმცა პროგრამული პრიორიტეტების სიღრმისეული გაშუქება არხებმა ისევ ვერ მოახერხეს. მთელი კამპანია მიმდინარეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ ურთიერთლანძღვის გაშუქების ფონზე.

„მაესტრო“ მეტ დროს უთმობდა ხელისუფლების აქტივობების გაშუქებას, ნაკლებად იყვნენ წარმოჩენილნი ოპოზიციის წარმომადგენლები. მეორე ტურის წინა პერიოდში შესამჩნევი გახდა სალომე ზურაბიშვილის გაშუქების ზრდა. ამავე პერიოდში მოიმატა გრიგოლ ვაშაძის უარყოფითად წარმოჩენამ, ასევე დიდი დრო დაეთმო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროინდელი მაღალჩინოსნების სასამართლო საქმეების გაშუქებას.

მეორე ტურის წინა პერიოდში „მაესტროზე“ „იმედის“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად დიდი დრო დაეთმო „ქართული ოცნების“ „შეცდომების აღიარება-გამოსწორების” კამპანიას. აქტიურად შუქდებოდა, რომ მმართველი პარტია უარს ამბობს მარიხუანის კულტივირებაზე, ზრდის სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებას, ამკაცრებს ბინადრობის მოწმობების გაცემას, ყოფილი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე პასუხისგებაში მიეცა და ა.შ. ეს ყველაფერი ხელისუფლების საქმიანობის დადებით კონტექსტში იყო წარმოდგენილი, ამ ფონზე გაკრიტიკებული იყო გრიგოლ ვაშაძის დაპირება 400-ლარიანი პენსიის შესახებ.

სამონიტორინგო არხებს შორის პოლიტიკური ძალების მიუკერძოებელი გაშუქებით გამოირჩეოდნენ „ტვ პირველი“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია. ამ ორ არხზე რომელიმე პარტიის ან კანდიდატისადმი სიმპათია ან ანტიპათია არ შეიმჩნეოდა. იშვიათად დაფიქსირდა მხარეთა შორის ბალანსის დარღვევა.

„ტვ პირველი“ ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდა, თუმცა წინა სამონიტორინგო პერიოდის მსგავსად საინფორმაციო გამოშვება პოლიტიკოსების დღის წესრიგს მიჰყვებოდა. კვლავ პრობლემად დარჩა საკუთარი მოძიებული, ექსკლუზიური თემების არარსებობა.

იდენტური პრობლემა აქვს აჭარის ტელევიზიასაც, რომელიც კვლავაც ვერ ახერხებს სიღრმისეული სიუჟეტების მომზადებას და არხი ძირითადად ისევ აშუქებს სხვის მიერ მოძიებულ და შექმნილ ამბებს. აჭარის ტელევიზია გამოირჩევა რეგიონში მიმდინარე სოციალური პრობლემების წარმოჩენით.

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, რადიომაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდება. მონიტორინგი 2018 წლის 18 ივნისს დაიწყო და 28 ნოემბერს დასრულდება.

დაკვირვება ხორციელდება 11 რადიომაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებაზე: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „აჭარა“ (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ქ. ბათუმი), „თავისუფლება”, „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ფორტუნა“, „აფხაზეთის ხმა“, „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი), „ჰერეთი“ (ქ. თბილისი/ლაგოდეხი).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების მთავარი საინფორმაციო გამოშვებების საარჩევნო თემების მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტებისთვის საეთერო დროის გამოყოფა და მათი საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორიცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია; ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 29 ოქტომბრიდან 27 ნოემბრამდე, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე, პერიოდის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგებს.

ძირითადი რაოდენობრივი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი) უმეტესი რადიოარხის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პროცესები აქტიურად შუქდებოდა.

ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტები იყვნენ: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (საშუალოდ, დროის 35%), „მთავრობა“ (საშუალოდ, დროის 15%) და

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (საშუალოდ, დროის 11%). მონიტორინგის დანარჩენ სუბიექტებს თითქმის ყველა მაუწყებელმა მთლიანი დროის, საშულოდ, 10% დაუთმო.

სუბიექტების გაშუქებისას რადიოარხების უმეტესობაზე მთლიანი დროის, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა, თუმცა რამდენიმე არხზე „ქართული ოცნების“ („პირველი რადიო“ - 58%, „მაესტრო“- 55%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ („იმედი“ - 68%, „რადიო 1“ - 56%) გაშუქების მაღალი უარყოფითი ტონი გამოვლინდა.

პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო რადიომაუწყებლების დიდ უმრავლესობაზე მთლიანი დროის, საშუალოდ, 8%-ს არ აღემატებოდა. ორივე კანდიდატი დროის უმეტესი ნაწილი ნეიტრალურად გაშუქდა. თუმცა, სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ოპონენტების ხშირი კრიტიკის ობიექტი იყო, გრიგოლ ვაშაძესთან შედარებით, უფრო მაღალი უარყოფითი ტონი დაუგროვდა. გამონაკლისს წარმოადგენდა რადიო „იმედი“, სადაც სალომე ზურაბიშვილისთვის დათმობილი დროის (19 წთ. 50წმ.) 51% დადებით ტონზე მოდიოდა, ხოლო გრიგოლ ვაშაძისთვის დათმობილი თითქმის 12 წუთიდან 51% უარყოფით ტონში დაგროვდა. ამ უკანასკნელს დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „პირველ რადიოსა“ (38%) და „მაესტროზე“ (36%) ჰქონდა.





წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, რადიომაუწყებლების დიდ უმეტესობაზე სუბიექტების პირდაპირი საუბრის წილი შემცირდა. არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში მთლიანი დროის, საშუალოდ, 80% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. ეს ტენდენცია შეეხო როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ასევე პრეზიდენტობის კანდიდატებსაც. გამონაკლისს ამ შემთხვევაშიც წარმოადგენდა რადიო „იმედი“, სადაც სალომე ზურაბიშვილს პირდაპირ საუბარს 43% დაეთმო, ხოლო გრიგოლ ვაშაძისთვის დათმობილი დროის 83% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა - კანდიდატზე უმეტესად სხვები საუბრობდნენ. მის პირდაპირ საუბარს უფრო მეტო დრო დაეთმო „პირველ რადიოზე“ (48%), „მაესტროსა“ და „ჰერეთზე“ (37-37%).

სალომე ზურაბიშვილის
პირდაპირი/ირიბი გაშუქება (%)

29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018



გრიგოლ ვაშაძის
პირდაპირი/ირიბი გაშუქება (%)

29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018



ძირითადი თვისებრივი ტენდენციები

ინფორმაციის წყაროების და სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა

არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში განვითარებულ მოვლენებს რადიოარხები აქტიურად აშუქებდნენ და მათ მუშაობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნებოდა.

რადიოების უმეტესობაზე საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალები ისევ მშრალი და ზედაპირული იყო, ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა და სხვადასხვა მონაცემით გამყარებული არ იყო.

ჟურნალისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ არჩევნების მეორე ტურამდე განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს: გაშუქდა, როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე პრეზიდენტობის კანდიდატების განცხადებები, თუმცა მეორე ტურში მონაწილე სუბიექტების შესახებ სიღრმისეული სიუჟეტები კვლავაც არ მომზადებულა.

რადიომაუწყებლების უმრავლესობაზე, არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში, ისევე როგორც მანამდე, ჟურნალისტების მხრიდან კრიტიკული კითხვების ნაკლებობა შეინიშნებოდა. სიუჟეტები, ძირითადად, პოლიტიკოსების განცხადებების გაჟღერებით ან მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდა. მეორე ტურში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს ხშირად მწვავე ბრალდებებს უყენებდნენ, ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდნენ, მაგრამ არ ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა ინფორმაცია გადაემოწმებინათ და ფაქტებით, საჯარო ინფორმაციითა თუ ექსპერტების მოსაზრებებით გაემყარებინათ, რაც თემებს მეტ სიცხადეს შემატებდა და მსმენელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში უფრო დაეხმარებოდა. შესაბამისად, მთავარ პრობლემად კვლავაც პოლიტიკოსების განცხადებებისა თუ აქტივობების კრიტიკული მიდგომის გარეშე გაშუქება დარჩა.

გამონაკლისს, ამჯერადაც, წარმოადგენდნენ რადიოები: „თავისუფლება“ და „ჰერეთი“. მათი ახალი ამბების გამოშვებებში ჟურნალისტები თემის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს აშუქებდნენ და თავადაც სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს.

რადიო „თავისუფლების“ საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა სიუჟეტები, სადაც (განსაკუთრებით, რეგიონების მაგალითზე) სიღრმისეულად იყო გაანალიზებული თუ რამ განაპირობა არჩევნების პირველ ტურში მმართველი ძალის და მათი მხარდაჭერილი კანდიდატის წარუმატებლობა. მსმენელს საშუალება ჰქონდა მოესმინა როგორც ხელისუფლების და ოპოზიციის, ასევე არასამთავრობო სექტორის მოსაზრებები.

რადიო „ჰერეთმა“ პრეზიდენტობის კანდიდატებს, პირველ ტურთან შედარებით, მეტი დრო დაუთმო - გარდა იმისა, რომ შუქდებოდა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, არხი ეთერს ქუჩაში მოსახლეობის განწყობებთან დაკავშირებულ გამოკითხვებსაც უთმობდა. თუმცა, ახალ ამბებში აქცენტი კვლავაც ადგილობრივი მთავრობის საქმიანობის გაშუქებაზე კეთდებოდა: ჟურნალისტები ადგილობრივ ხელისუფლებას მოუგვარებელი პრობლემების გამო არგუმენტირებულად აკრიტიკებდნენ და მსმენელს მათ მოვალეობებსა და ვალდებულებებს შეახსენებდნენ.

ბალანსი

არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდის მანძილზე პოლარიზება რადიომაუწყებლებზეც შეინიშნებოდა, თუმცა ჟურნალისტები მკვეთრად მიკერძოებულ განცხადებებს არ აკეთებდნენ.

რადიოარხების ეთერში გასული ინფორმაცია კვლავაც მსგავსი იყო და ისინი ანალიტიკურ და ექსკლუზიურ მასალებს არ ამზადებდნენ, მაგრამ რამდენიმე მაუწყებელზე ცალკეული ახალი ამბავი სხვადასხვა კუთხით შუქდებოდა: სიუჟეტებში ორივე მხარის მოსაზრებები ისმოდა, მაგრამ ზოგ მაუწყებელზე („რადიო 1“, „იმედი“) ფოკუსი ხელისუფლების პოზიციაზე კეთდებოდა, მათი კომენტარები უფრო ვრცელი იყო, ხოლო ოპოზიციის მოსაზრებები ლაკონურად და ზოგჯერ შერბილებულად გადმოიცემოდა. რადიო „აჭარაზე“, სადაც მონიტორინგის დასაწყისში, წინა წლებთან შედარებით, მმართველი გუნდის დადებითად გაშუქების ტენდენცია შემცირებული იყო, 28 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტები, რომლებიც მათ დადებითად წარმოაჩენდა, უფრო აქტიურად შუქდებოდა.

ცალკეული სიუჟეტები დაუბალანსებელი იყო “პირველი რადიოს“ ეთერშიც. არხზე, არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, ხელისუფლების კრიტიკა კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო ოპოზიციას პირდაპირი საუბრისთვის უფრო მეტი დრო (საშუალოდ, 65%) ეთმობოდა ვიდრე მმართველ გუნდს (საშუალოდ, 30%).

რადიომაუწყებლების უმეტესობის საინფორმაციო გამოშვებებში ბალანსი უფრო დაცული იყო, თუმცა იმის გამო, რომ მასალები ფაქტებით არ იყო გამყარებული, მსმენელს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიდან სიმართლის დადგენა გაუჭირდებოდა. იმისთვის, რომ რადიომაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებები უფრო მრავალფეროვანი გახდეს და მათი ხარისხი გაუმჯობესდეს საჭიროა გასცდეს პოლიტიკოსთა ზოგად განცხადებებს, მოიცვას რეგიონების და ამა თუ იმ უმცირესობის პრობლემები და კონკრეტულ საკითხებზე უფრო მეტი სიღრმისეული სიუჟეტი მოამზადოს.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის პერიოდში „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ განახორციელა არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების ქართულ ონლაინ მედიაში გაშუქების კვლევა.

მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდებოდნენ მონიტორინგის სუბიექტები შერჩეულ ვებსაიტებში. თვისებრივი დაკვირვების დროს კი ყურადღება ეთმობოდა იმას, თუ რამდენად იცავდნენ აღნიშნული ონლაინ გამოცემები ჟურნალისტურ სტანდარტებს, როგორებიც არის მოვლენების მრავალმხრივი და მიუკერძოებელი გაშუქება, დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, ინფორმაციის წყაროთა სანდოობა და მრავალფეროვნება და ა.შ.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში დაკვირვება ხდებოდა 11 ვებსაიტზე: ambebi.ge, interpressnews.ge, ipress.ge, liberali.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, news.ge, on.ge, palitravideo.ge, reportiori.ge, tabula.ge.

კანდიდატთა გაშუქება

ქართულ ონალიან მედიაში აქტიურად და საკმაოდ ობიექტურად გაშუქდა პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობა არჩევნების მეორე ტურის პერიოდში. მონიტორინგისთვის შერჩეული 11 ვებსაიტიდან მხოლოდ ორში, reportiori.ge და marshalpress.ge, გამოვლინდა ცალსახად დადებითი განწყობა სალომე ზურაბიშვილის, ხოლო უარყოფითი განწყობა გრიგოლ ვაშაძის მიმართ.



marshalpress.ge-ზე 2018 წლის ოქტომბერში მოხდა ტექნიკური ხასიათის ცლილებები, რის შედეგადაც აღნიშნული ვებსაიტის რაოდენობრივი მონიტორინგი ტექნიკურად შეუძლებელი გახდა. თუმცა, თვისებრივი დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ ვებგვერდზე, ისევე, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების მეორე ტურის პერიოდშიც შეინიშნებოდა ერთი მხრივ ცალსახად დადებითი განწყობა სალომე ზურაბიშვილისა და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების, ხოლო, მეორე მხრივ, ცალსახად უარყოფითი განწყობა გრიგოლ ვაშაძისა და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების მიმართ.

სამ ვებსაიტზე, interpressnews.ge, ipress.ge და news.ge, გამოვლინდა უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გრიგოლ ვაშაძის გაშუქებისას:







თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი დაკვირვების შედეგად ამ გამოცემებში არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე კანდიდატის მიმართ. Intepressnews.ge-ზე, ipress.ge-ზე და news.ge-ზე უმეტესად ქვეყნდება მოკლე ინფორმაცია პოლიტიკოსთა თუ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა განცხადებებისა და ყოველდღიური საქმინობის შესახებ და პრაქტიკულად არ გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან მიმდინარე მოვლენების ანალიზი. შესაბამისად, დადებითი და უარყოფითი ტონები განპირობებულია უმეტესად პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა განცხადებებით. აღსანიშნავია, რომ სამივე გამოცემა მეტ-ნაკლებად თანაბარ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს.

მაღალ დონეზე იყო დაცული ბალანსი ვებსაიტებზე liberali.ge, on.ge, netgazeti.ge და tabula.ge. ოთხივე აღნიშნულ გამოცემაში მცირედით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მეორე ტურში მონაწილე ორივე კანდიდატის გაშუქებისას. როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ ვებსაიტებზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე კანდიდატის მიმართ. არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული საკითხები შუქდებოდა ობიექტურად და მიუკერძოებლად.




პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება
ტონის მიხედვით (%)
on.ge
(29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
სალომე ზურაბიშვილი
7
59
34
გრიგოლ ვაშაძე
13
60
28


პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება
ტონის მიხედვით (%)
netgazeti.ge
(29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
სალომე ზურაბიშვილი
6
73
21
გრიგოლ ვაშაძე
5
73
22



არჩევნების მეორე ტურის პერიოდში გამოვლინდა ორი ვებსაიტი, რომლეზეც ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ერთი თუ მეორე კანდიდატის გაშუქებისას. palitravideo.ge-ზე შედარებით ჭარბობდა დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებელი სალომე ზურაბიშვილის, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებელი გრიგოლ ვაშაძის გაშუქებისას. ambebi.ge-ზე კი ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მეორე ტურში მონაწილე ორივე კანდიდატის გაშუქებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი დაკვირვების შედეგად აღნიშნულ ვებსაიტებზე არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე კანდიდატის მიმართ. ორივე ვებსაიტი ქვეყნაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებს ფრაგმენტულად, უმეტესად, ჟურნალისტთა ანალიზისა და კომენტარების გარეშე. დადებითი თუ უარყოფითი ტონის მაჩვენებლებიც ძირითადად რესპონდენტთა განცხადებებით არის განპირობებული.





ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევები

ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, მეორე ტურის პერიოდშიც ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ კარგად იყო დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. მონიტორინგისთვის შერჩეული 11 ვებსაიტიდან ორის გარდა (reportiori.ge და marshalpress.ge) ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არც ერთ ონლაინ გამოცემაში არ გამოვლენილა. ვებსაიტების დიდი უმრავლესობა ცდილობდა და ახერხებდა, რომ მკითხველისთვის შეეთავაზებინა ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაცია კანდიდატთა შესახებ არჩევნების მეორე ტურის პერიოდში. ქართულ ონლაინ მედიაში მეტ-ნაკლებად თანაბარი ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს.

ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, სხვადასხვა სახის დარღვევები გვხვდებოდა ვებსაიტებზე reportiori.ge და marshalpress.ge. აღნიშნული გამოცემების უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს საარჩევნო პროცესების ცალმხრივი გაშუქება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ორი ვებსაიტის ძირითადი მიზანი არა ამომრჩევლის მაქსიმალურად ინფორმირება, არამედ ამომრჩეველზე ზემოქმედებაა პრეზიდენტობის ერთი კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის პერიოდში „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ განახორციელა არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების ქართულ პრესაში გაშუქების კვლევა.

მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდებოდნენ მონიტორინგის სუბიექტები შერჩეულ გაზეთებში. თვისებრივი დაკვირვების დროს კი ყურადღება ეთმობოდა იმას თუ რამდენად იცავდნენ აღნიშნული გამოცემები ჟურნალისტურ სტანდარტებს, როგორებიც არის მოვლენების მრავალმხრივი და მიუკერძოებელი გაშუქება, დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, ინფორმაციის წყაროთა სანდოობა და მრავალფეროვნება და ა.შ.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში დაკვირვება ხდებოდა 7 გაზეთზე: „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „რეზონანსი“, „ქრონიკა +“, „საქართველო და მსოფლიო“.

კანდიდატთა გაშუქება

არჩევნების მეორე ტურის პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეულ ორ გამოცემაში „ასავალ-დასავალი“ და „ქრონიკა +“ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი თუ უარყოფითი განწყობა პრეზიდენტობის კანდიდატთა მიმართ. „ასავალ-დასავალის“ ყველა ნომერში ცხადად შეინიშნებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და გრიგოლ ვაშაძის დისკრედიტაციის მცდელობა. „ქრონიკა +“-ში კი ცხადად შეინიშნებოდა სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციის მცდელობა. აღნიშნული ტენდენციები შესაბამისად აისახება როდენობრივ მონაცემებშიც:





ასევე, აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით „ასავალ-დასავალში“ მკვეთრად გაიზარდა დადებითი ტონის მაჩვენებელი სალომე ზურაბიშვილის გაშუქებისას:



წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით არჩევნების მეორე ტურის პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქების ასეთი ცვლილება მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ სხვა გამოცემაში არ გამოვლენილა.

არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ორივე კანდიდატის მიმართ უკიდურესად უარყოფითი განწყობა გამოვლინდა გაზეთებში „ალია“ და „საქართველო და მსოფლიო“.

აღნიშნულ გამოცემებში არ გამოვლენილა დადებითი განწყობა რომელიმე კანდიდატისა თუ მათი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების მიმართ:





არჩევნების მეორე ტურის პერიოდში „ახალ თაობაში“, „კვირის პალიტრაში“ და „რეზონანსში“ არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატის მიმართ:


პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება
ტონის მიხედვით (%)
"ახალი თაობა"
(29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
სალომე ზურაბიშვილი
6
50
44
გრიგოლ ვაშაძე
15
60
25


პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება
ტონის მიხედვით (%)
"კვირის პალიტრა"
(29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი, 2018)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
გრიგოლ ვაშაძე
52
47
სალომე ზურაბიშვილი
10
70
20



ამ გამოცემების რაოდენობრივ მონაცემებში ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ერთი ან მეორე კანდიდატის გაშუქებისას, თუმცა, თვისებრივი დაკვირვების შედეგად აღნიშნულ გამოცემებში არ ვლინდება ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა არჩევნების მეორე ტურში მონაწილე რომელიმე კანდიდატის მიმართ.

ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევები

არჩევნების მეორე ტურის პერიოდში ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების სხვადასხვა სახის დარღვევები გამოვლინდა გაზეთებში „ახალი თაობა“ და „საქართველო და მსოფლიო“. ჟურნალისტური სტანდარტების ყველაზე უხეში დარღვევის შემთხვევები კი გვხვდებოდა გაზეთებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და „ქრონიკა +“. აღნიშნულ გამოცემებში პრეზიდენტობის კანდიდატები შუქდებოდნენ ცალმხრივად და ხშირ შემთხვევებში, მძიმე პიროვნული შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციული განცხადებების ფონზე. მაგალითად, „ქრონიკა +“-ის 13-19 ნომბრის ნომერში ჟურნალისტი წერს: „აი, ეს ხალხი უჭერს მხარს სალომე ზურაბიშვილს - ბოზები, ჩათლახები, ქურდები, ყაჩაღები, გათახსირებულები, მკვლელები, აფერისტები, გარყვნილები, მექრთამეები, სპეკულანტები, გამფლანგველები...“, „გადახედეთ შეკრებებს ვერის ბაღსა და რუსთაველზე! იქ იმდენ ბოზსა და ბოზანდარას ნახავთ, ცირკის მიმდებარე ტერიტორიასაც რომ არ ახსოვს!“ (*„შოშია ზურაბიშვილი“*, გვ. 13).

ჟურნალისტთა ტექსტების გარდა, მძიმე შეურაცხმყოფელი განცხადებები გვხვდებოდა სტატიების სათაურებშიც; მაგალითად, „ალიაში“ 12-18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას სათაურად ჰქონდა რესპონდენტის განცხადება სალომე ზურაბიშვილის შესახებ: „როცა ამ სიტყვებს ამბობს, მინდა პირში დიდი სიმინდის ტარო ჩავჩარო“ (გვ. 10). „ასავალ-დასავალში“ კი არჩევნების მეორე ტურის პერიოდში გამოსული ნომრების დიდ ნაწილში პირველ გვერდზე გვხვდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და გრიგოლ ვაშაძის შეურაცხმყოფელი, საკმაოდ დიდი ზომის ფოტოკოლაჟები; მაგალითად, 19-25 ნოემბრის ნომრის პირველ გვერდზე განთავსებული იყო გრიგოლ ვაშაძის ფოტო, რომლის სახის ქვეშ იმალებოდა მიხეილ სააკაშვილის სახე, ადოლფ ჰიტლერის სტილის ულვაშით და

სათაურად ეწერა „არა! No! Нет!“; 12-18 ნოემბრის ნომრის პირველ გვერდზე წარმოდგენილი იყო ნაციონალური მოძრაობის წევრთა და მხარდამჭერთა ფოტოების კოლაჟი, რომელსაც ზემოთ ეწერა „სულს ამოგხდით!“, ხოლო ქვემოთ „დაგყრით ღორებივით!“; 26 ნოემბერი - 2 დეკემბრის ნომრის პირველ გვერდზე წარმოდგენილი იყო ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფოტო წარწერით „აღარ მოათრიოთ! აღარ მოაშავოთ! აღარ მოაბნელოთ!“.